

ი/მ გიორგი ცაძიკიძე
ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ. 13	
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	14
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
7. მარაგები.....	14
8. მოკლევადიანი ბიოლოგიური აქტივები	14
9. ძირითადი საშუალებები	15
10. გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივები	16
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
12. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები	16
13. ამონაგები	17
14. სხვა შემოსავლები.....	17
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	17
16. სხვა ხარჯები	17
17. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები.....	18
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	18
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	42,312	4,296
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,253,189	549,859
მარაგები	7	992,981	1,722,600
მოკლევადიანი ბიოლოგიური აქტივები	8	1,813,057	664,767
საგადასახადო აქტივები		-	82,578
		4,101,539	3,024,100
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	23,542,258	8,801,307
გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივები	10	240,000	240,000
		23,782,258	9,041,307
მთლიანი აქტივები		27,883,797	12,065,407
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	529,810	47,421
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	12	1,096,000	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,261	62
		1,627,071	47,483
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	3,103,368	-
		3,103,368	-
მთლიანი ვალდებულებები		4,730,439	47,483
მთლიანი კაპიტალი			
მფლობელის შენატანი		13,589,170	8,299,417
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		9,564,188	3,718,507
		23,153,358	12,017,924
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		27,883,797	12,065,407

ი/მ გიორგი ცაძიკიძე _____


30 სექტემბერი 2022 წელი

7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	42,312	4,296
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,253,189	549,859
მარაგები	7	992,981	1,722,600
მოკლევადიანი ბიოლოგიური აქტივები	8	1,813,057	664,767
საგადასახადო აქტივები		-	82,578
		4,101,539	3,024,100
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	23,542,258	8,801,307
გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივები	10	240,000	240,000
		23,782,258	9,041,307
მთლიანი აქტივები		27,883,797	12,065,407
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	529,810	47,421
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	12	1,096,000	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,261	62
		1,627,071	47,483
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	12	3,103,368	-
		3,103,368	-
მთლიანი ვალდებულებები		4,730,439	47,483
მთლიანი კაპიტალი			
მფლობელის შენატანი		13,589,170	8,299,417
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		9,564,188	3,718,507
		23,153,358	12,017,924
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		27,883,797	12,065,407

ი/მ გიორგი ცაძიკიძე



30 სექტემბერი 2022 წელი

7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	13	8,932,312	2,046,537
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,121,764)	(1,543,317)
საერთო მოგება		1,810,548	503,220
რეალური ღირებულების შემოსულობა მოსავლის მიღებიდან		4,917,542	1,217,780
სხვა შემოსავლები	14	-	16,402
მიწოდების დანახარჯები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(838,515)	(542,082)
სხვა ხარჯები	16	-	(8,601)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		62,624	(10,946)
		(3,613)	(794)
საოპერაციო მოგება		5,948,586	1,174,979
ფინანსური შემოსავალი	17	1,581	454
ფინანსური ხარჯი	17	(104,486)	(12,100)
მოგება დაბეგვრამდე		5,845,681	1,163,333
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		5,845,681	1,163,333

ი/მ გიორგი ცაძიკიძე _____


30 სექტემბერი 2022 წელი

7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	13	8,932,312	2,046,537
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,121,764)	(1,543,317)
საერთო მოგება		1,810,548	503,220
რეალური ღირებულების შემოსულობა მოსავლის მიღებიდან		4,917,542	1,217,780
სხვა შემოსავლები	14	-	16,402
მიწოდების დანახარჯები		-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	15	(838,515)	(542,082)
სხვა ხარჯები	16	-	(8,601)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		62,624	(10,946)
		(3,613)	(794)
საოპერაციო მოგება		5,948,586	1,174,979
ფინანსური შემოსავალი	17	1,581	454
ფინანსური ხარჯი	17	(104,486)	(12,100)
მოგება დაბეგვრამდე		5,845,681	1,163,333
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		5,845,681	1,163,333

ი/მ გიორგი ცაბიკიძე



30 სექტემბერი 2022 წელი

7-18 გვერდებზე მოცემული აბსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	9,166,797	1,492,456
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(3,060,275)	(1,719,236)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(35,040)	(9,200)
მიღებული პროცენტები	1,581	13,890
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხა	789,813	412,145
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(232,809)	(210,922)
ფულადი სახსრების სხვა გასაღები	-	(8,651)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	6,630,067	(29,518)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(15,973,073)	(1,887,010)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	11,000
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(15,973,073)	(1,876,010)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	5,289,753	2,153,335
სასესხო ვალდებულებების ზრდა	4,700,000	-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(500,632)	(296,171)
გადახდილი პროცენტები	(104,486)	(17,964)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	9,384,635	1,839,200
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	41,629	(66,328)
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(3,613)	676
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	4,296	69,948
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	42,312	4,296

ი/მ გიორგი ცაძიკიძე _____


30 სექტემბერი 2022 წელი

7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	9,166,797	1,492,456
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(3,060,275)	(1,719,236)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(35,040)	(9,200)
მიღებული პროცენტები	1,581	13,890
ბიუჯეტიდან დაბრუნებული თანხა	789,813	412,145
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	(232,809)	(210,922)
ფულადი სახსრების სხვა გასაღებები	-	(8,651)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	6,630,067	(29,518)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(15,973,073)	(1,887,010)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	11,000
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(15,973,073)	(1,876,010)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	5,289,753	2,153,335
სასესხო ვალდებულებების ზრდა	4,700,000	-
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(500,632)	(296,171)
გადახდილი პროცენტები	(104,486)	(17,964)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	9,384,635	1,839,200
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	41,629	(66,328)
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(3,613)	676
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	4,296	69,948
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	42,312	4,296

ი/მ გიორგი ცაძიკიძე



30 სექტემბერი 2022 წელი

7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	მფლობელის შენატანი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019	6,146,082	2,555,174	8,701,256
კაპიტალის ზრდა	2,153,335	-	2,153,335
პერიოდის მოგება	-	1,163,333	1,163,333
ნაშთი 31.12.2020	8,299,417	3,718,507	12,017,924
კაპიტალის ზრდა	5,289,753	-	5,289,753
პერიოდის მოგება	-	5,845,681	5,845,681
ნაშთი 31.12.2021	13,589,170	9,564,188	23,153,358

ი/მ გიორგი ცაძიკიძე _____

30 სექტემბერი 2022 წელი


7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ი/შ გიორგი ცაბიკიძე
 ფინანსური ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	მფლობელის შენატანი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2019	6,146,082	2,555,174	8,701,256
კაპიტალის ზრდა	2,153,335	-	2,153,335
პერიოდის მოგება	-	1,163,333	1,163,333
ნაშთი 31.12.2020	8,299,417	3,718,507	12,017,924
კაპიტალის ზრდა	5,289,753	-	5,289,753
პერიოდის მოგება	-	5,845,681	5,845,681
ნაშთი 31.12.2021	13,589,170	9,564,188	23,153,358

ი/შ გიორგი ცაბიკიძე



30 სექტემბერი 2022 წელი

7-18 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

გიორგი ცაძიკიძე (შემდგომში "ინდივიდუალური მეწარმე") საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა 2011 წლის 4 მარტს. ინდივიდუალური მეწარმის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, აწყურის ქ. 32.

ინდივიდუალური მეწარმის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, კერძოდ ხორბლის დათესვა, მოყვანა, რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ინდივიდუალური მეწარმე განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალური მეწარმის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ინდივიდუალური მეწარმე ეწევა საქმიანობას. ინდივიდუალური მეწარმის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ინდივიდუალური მეწარმის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	50
სასოფლო -სამეურნეო ტექნიკა	10
მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	10
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	10
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივები შედგება ხორბლის ნათესებისგან და ფსტის ბაღებისგან. აქტიური ბაზრი არ არსებობს ხორბლის ნათესისა და ფსტის ბაღებისათვის. ამასთან ვინაიდან ინდივიდუალური მეწარმემ ბაღების გაშენება დაიწყო ხანმოკლე პერიოდის წინ, მას არ გააჩნია საკმარისი წარსული მონაცემები და გამოცდილება რომ ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების შეფასება შემდგომ მიზანშეუწონელი დანახარჯების გარეშე. აღნიშნული მიზეზების გამო ინდივიდუალური მეწარმე ბიოლოგიურ აქტივებს აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით.

ხორბლის ნათესები შეფასებულია თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს ხორბლის დათესვასა და მოყვანაზე გაწეულ დანახარჯებს, როგორცაა თესლი, სასუქი, მიწის დამუშავებისა და ნათესის მოვლის ხარჯები.

ხორბლის მოსავლის მიღების მომენტში წყდება ბიოლოგიური აქტივის აღიარება, მიღებული ხორბლის მოსავალი ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა მიღებული მოსავლის ღირებულებასა და ბიოლოგიური აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც რეალური ღირებულების შემოსულობა მოსავლის მიღებიდან. ნაყოფის მიღების მომენტში რეალური ღირებულება ემყარება ადგილობრივ ბაზარზე არსებულ საბაზრო ფასს, რომელზეც მოსალოდნელია მისი გაყიდვა.

ფსტის ბაღის შეფასება ხდება თვითღირებულებით რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. თვითღირებულება მოიცავს ფსტის ნერგის შესყიდვის, ტრანსპორტირების, მიწის დამუშავების, დარგვის და მოვლის სხვა ხარჯებს მანამ სანამ ხე პირველად მოიხმას ნაყოფს. ამის შემდეგ ბიოლოგიური აქტივების მოვლის ხარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯად.

ბიოლოგიურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილებით მათი წინასწარ შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ბიოლოგიურ აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ხე პირველად იწყებს ნაყოფის მოსხმას.

ნაყოფის მიღების მომენტში, მიღებული მოსავალი ფასდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით; აღნიშნული წარმოადგენს მარაგებში გადასვლისას მის თვითღირებულებას. ნაყოფის მიღების მომენტში რეალური ღირებულება ემყარება ადგილობრივ ბაზარზე არსებულ საბაზრო ფასს, რომელზეც მოსალოდნელია მისი გაყიდვა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შემენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასოფლო სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მარაგები ფასდება, მოცავლის მიღების მომენტში გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, რაც ითვლება აღრიცხვის მომენტში მარაგის თვითღირებულებად.

შემდგომში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ინდივიდუალური მეწარმე ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც ინდივიდუალური მეწარმე ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. ინდივიდუალური მეწარმე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, ინდივიდუალური მეწარმე აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. ინდივიდუალური მეწარმე გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

ინდივიდუალური მეწარმე წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) ინდივიდუალური მეწარმე ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) ინდივიდუალური მეწარმე, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც ინდივიდუალური მეწარმე ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება ალბულის სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

ინდივიდუალური მეწარმე ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც ინდივიდუალური მეწარმე მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან ინდივიდუალური მეწარმე მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ ინდივიდუალური მეწარმე განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია ინდივიდუალური მეწარმე ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების ინდივიდუალური მეწარმიდან გასვლის

ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება ინდივიდუალური მეწარმის საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური და საოპერაციო იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

იჯარის ვადის დასაწყისისათვის აქტივის გამოყენებაზე უფლებები და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.

ვალდებულება მეიჯარის წინაშე ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ხარჯი ასახულია მოგებაში ან ზარალში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივები შესულია ძირითად საშუალებებში და მათ ცვეთა და გაუფასურება ერიცხებათ იგივე გზით, როგორც სხვა ფლობილ აქტივებს. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი (წლიური საშემოსავლო გადასახადი)

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად ინდივიდუალური მეწარმე წლიური მოგებიდან იხდის 20% საშემოსავლო გადასახადს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ინდივიდუალური მეწარმეს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

საწესდებო კაპიტალი

ინდივიდუალური მეწარმის მიერ საქმიანობის ფარგლებში გამოყენებული პირადი თანხები აღრიცხულია როგორც მფლობელის შენატანი.

4. ინფორმაცია შეფასების, განსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

ინდივიდუალური მეწარმე აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა ინდივიდუალური მეწარმის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ ინდივიდუალური მეწარმის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ინდივიდუალური მეწარმის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და ინდივიდუალური მეწარმეს დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ინდივიდუალური მეწარმის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ ინდივიდუალური მეწარმის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	-	-
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	42,188	4,172
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	124	124
სულ	42,312	4,296

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	1,083,539	548,258
გაცემული ავანსები	169,650	1,601
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	-	-
სულ	1,253,189	549,859

სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული.

7. მარაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
მზა პროდუქცია	990,836	1,722,600
სხვა მარაგები	2,145	-
სულ	992,981	1,722,600

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 7,121,764 ლარი (2020 წელს 1,543,317 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2020 წელს 0 ლარი).

8. მოკლევადიანი ბიოლოგიური აქტივები

მოკლევადიანი ბიოლოგიური ნაკვეთები წარმოადგენს ხორბლის ნათესებს, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებით. საბალანსო ღირებულებების შეჯერება წარმოდგენილია ქვემოთ:

(თანხები მოცემულია ლარში)	2021 წელი	2020 წელი
საწყისი ნაშთი	664,767	449,306
წლის განმავლობაში გაწეული ხარჯები	2,480,748	1,151,681
მოსავლის მიღებით გამოწვეული შემცირება	(1,332,458)	(936,220)
სულ	1,813,057	664,767

9. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	სასოფლო - სამეურნეო ტექნიკა	მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება								
31 დეკემბერი 2020	3,624,567	368,076	324,155	4,141,687	739,006	32,290	4,929	9,234,710
შემოსვლა	14,853,462	-	-	350,120	751,483	1,822	5,398	15,962,285
გასვლა	-	-	-	-	(961,155)	-	-	(961,155)
31 დეკემბერი 2021	18,478,029	368,076	324,155	4,491,807	529,334	34,112	10,327	24,235,840
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2020	-	-	(12,966)	(291,897)	(125,401)	(1,794)	(1,345)	(433,403)
პერიოდის ცვეთა	-	-	-	(167,848)	(151,192)	(2,920)	(843)	(322,803)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	62,624	-	-	62,624
31 დეკემბერი 2021	-	-	(12,966)	(459,745)	(213,969)	(4,714)	(2,188)	(693,582)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	3,624,567	368,076	311,189	3,849,790	613,605	30,496	3,584	8,801,307
31 დეკემბერი 2021	18,478,029	368,076	311,189	4,032,062	315,365	29,398	8,139	23,542,258

ინდივიდუალური მეწარმის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 18,478,029 ლარს, დატვირთულია იპოთეკით ბანკის სესხის სანაცვლოდ.

10. გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივები

(თანხები მოცემულია ლარში)	ფსტის ბაღი	სულ
თვითღირებულება		
31 დეკემბერი 2020	240,000	240,000
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	240,000	240,000
ცვეთა და გაუფასურება		
31 დეკემბერი 2020	-	-
პერიოდის ცვეთა	-	-
გაუფასურება	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-
ნეტო საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2020	240,000	240,000
31 დეკემბერი 2021	240,000	240,000

გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივები წარმოადგენს ფსტის ბაღს, რომელიც შეფასებულია თვითღირებულების მოდელით. ბაღი არის ხრდის პროცესში და შესაბამისად ცვეთა არ ერიცხება.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
სავაჭრო ვალდებულებები	511,525	47,421
მიღებული ავანსები	18,285	-
სულ	529,810	47,421

12. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
მოკლევადიანი სესხები		
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	1,096,000	-
სულ მოკლევადიანი სესხები	1,096,000	-
გრძელვადიანი სესხები		
გრძელვადიანი სესხები	3,103,368	-
სულ გრძელვადიანი სესხები	3,103,368	-
სულ სესხები	4,199,368	-

ი/მ გიორგი ცაძიკიძე

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სესხი მიღებულია ბანკისგან, იგი დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 13%-ს. სესხი დაფარვადია 2026 წლის მარტში. სესხი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური მეწარმის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით, რომელთა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 18,478,029 ლარს.

13. ამონაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	8,932,312	2,046,537
სულ	8,932,312	2,046,537

14. სხვა შემოსავლები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
სადაზღვევო ზიანის ანაზღაურება	-	13,436
კომბაინით მომსახურების გაწევა	-	2,966
სულ	-	16,402

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
შრომის ანაზღაურება	(45,000)	(11,563)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(322,803)	(248,747)
ტრანსპორტირების ხარჯი	(71,014)	(68,264)
საბანკო ხარჯი	(29,568)	(1,184)
დაცვის ხარჯი	(1,019)	(424)
დაზღვევის ხარჯი	(2,836)	(30,682)
საკონსულტაციო და იურიდიული ხარჯები	(13,468)	(160)
საკანცელარიო ხარჯი	-	(70)
იჯარის ხარჯი	(13,470)	(44,304)
ძირითადი საშუალებების რემონტი	(304,054)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(35,283)	(136,684)
სულ	(838,515)	(542,082)

16. სხვა ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
ჯარიმები და საურავები	-	(8,601)
სულ	-	(8,601)

17. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2021	31.12.2020
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	1,581	454
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(104,486)	(12,100)
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(102,905)	(11,646)

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

გიორგი ცაძიკიძე (შემდგომში "ინდივიდუალური მეწარმე") საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა 2011 წლის 4 მარტს.

ხელმძღვანელ პირებზე შრომის ანაზღაურება არ გაცემულა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

სხვა დაკავშირებული მხარეები (თანხები მოცემულია ლარში)	ფინანსური ანგარიშგების მუხლი	2021	2020
მზა პროდუქციის (ხორბლის) შეძენა	მარაგები	140,000	51,200
სულ		140,000	51,200

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები განხორციელდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

(თანხები მოცემულია ლარში)	ფინანსური ანგარიშგების მუხლი	31.12.2021	31.12.2020
სხვა დაკავშირებული მხარეები	სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	148,670	21,600

დაკავშირებული მხარეების მიმართ ვალდებულების დაფარვა ხდება შეთანხმების საფუძველზე ინდივიდუალური გრაფიკით. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ინდივიდუალურმა მეწარმემ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დამატებით აიღო და აითვისა 3,800,000 ლარის ოდენობის სესხი. ამასთან იგი განაგრძობდა არსებული სესხების დაფარვას გრაფიკის მიხედვით.